ხუთშაბათი, 1918 წ. აპრილის 5 (18) № 73

ხუთშაბათი, 1918 წ. აპრილის 5 (18) № 73

წელიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

კონტორა

პირველ აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირებს—18 მ., თვეში (წლიურად ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადებების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებებისთვის ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადებანი თითოჯერ ზომით: 15×2—10 მანეთი, 20×2—13 მანეთი, 30×2—15 მანეთი. შინამოსამსახურეთა განცხადება ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორის შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა წარედგინოს იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

დღეს:

ცნობები:

ბათომიდან ჩამოსულები ირწმუნებიან: ჩვენებმა ბათომი დაიბრუნესო.—„კარლოს“-ი დაბრუნდა და ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო.—ბაქოს ბოლშევიკების წინააღმდეგ დაღესტანიდან ძლიერი რაზმი მიდის.—ბაქოსთვის ბოლშევიკებს 50 მილიონის კონტრიბუცია შეუწერნიათ.

სეიმის მანიფესტი

ამიერ-კავკასიის ერებისადმი.

ამიერ-კავკასიის ერებო!

დადგა საათი, როდესაც სწყდება ჩვენი საერთო სამშობლოს ბედი.

თქვენ უკვე იცით, თუ რაგვარი მოთხოვნები წამოგვიყენა ჩვენ ოსმალეთის მთავრობამ.

ჩვენგან მოითხოვდნენ ეცნო ბრესტ-ლიტოვსკში დადებული ხელშეკრულება, რომელიც ამიერ-კავკასიის ერების დაუკითხავად იქმნა შეკრული. ეს ის ხელშეკრულებაა, რომელსაც რუსეთში ამ ჟამად არავინ არ სცნობს, ვისთვისაც კი ძვირფასია თავისუფლება და სამშობლოსადმი პატივისცემა.

ჩვენგან მოითხოვდნენ ჩვენს საუკეთესო ციხე-სიმაგრეს ყარსსა და ჩვენს საუკეთესო ნავ-სადგურს ბათუმს.

ჩვენგან მოითხოვდნენ სამი ოლქის—ყარსის, არდაგანის და ბათუმის დაცლა-განთავისუფლებას.

ჩვენ ყოველივე ვცდილობდით, რომ მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკებით მოგვეგვარებინა საქმე, რომ ოსმალეთს უარეყო თავისი მოთხოვნანი. მივისწრაფოდით რა ზავისაკენ, ჩვენ დავთანხმდით უდიდეს მსხვერპლზე და დათმობაზე. ჩვენ განვუცხადეთ ოსმალეთს, რომ მზადა ვართ დავუთმოთ ყველაფერი,—არდაგანი და ყარსიც კი, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო უარი გვეთქვა ბათუმზე, რომელიც ერთად-ერთი გზაა მიმავალი ჩვენი მხრიდან ევროპაში და გვაერთებს ევროპის კულტურასთან. და მთელი ჩვენი ძალ-ღონე, რომ დავა მშვიდობიანის გზით გაგვეთავებინა, დაამსხვრია ოსმალეთის ჯიუტობამ.

ოსმალეთი დაჟინებით იცავს თავის პირვანდელ მოთხოვნებს. მისი მიზანია მოსწყვიტოს ამიერ-კავკასია გარეშე ქვეყანას, დაიპყროს და დაიმონავოს ის. ამ მიზნის მისაღწევად ოსმალეთის ჯარები შემოტევას აწარმოებენ. ამ ჯარების შეჩერება ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იარაღით.

ჩვენ წინ ასეთი საკითხი დადგა: განვაგრძოთ თუ არა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება იმ დროს, როცა მისი ჯარები ჩვენი ქვეყნის შუაგულისაკენ მოიწევენ, თუ შევწყვიტოთ ყოველგვარი მოლაპარაკება და იარაღს მივანდოთ ამიერ-კავკასიის თავისუფლების დაცვა?

ოსმალეთის საზავო მოლაპარაკების დაწყებისთანავე ჩვენ ვამბობდით: ამიერ-კავკასიის ერებს ზავი სწყურია, მაგრამ ეს ერები არ დასთანხმდებიან ეს ზავი იყოს მონობისა და შერცხვენის საფასური.

ახლა ჩვენ ამოსარჩევად გვაქვს: სამარცხვინო ზავი და მონობა, თუ ომი?

სამშობლოსა და მომავალ თაობათა წინაშე ჩვენი დიადი პასუხისმგებლობის შეგნებით ჩვენ შეურყევლად ვარჩიეთ:

სამარცხვინო ზავს ჩვენ ხელი არ მოვაწერეთ.

საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან შეწყვეტილია.

ამიერიდან ჩვენ შორის დავას გადასწყვეტს იარაღი ბრძოლის ველზე.

და ამ საათში მოვმართავთ თქვენ, ვინაიდან თქვენზე, თქვენს მამაცობაზე, თქვენ მიერ გაჭირვების ატანაზე და მსხვერპლის გაღებაზეა დამოკიდებული თქვენი და თქვენი შვილების მომავალი.

მოქალაქენო! ნუ თუ მთელ რუსეთთან ერთად იმიტომ დავამსხვრიეთ მეფის უღელი, რომ ოსმალეთის დამონებულ პროვინციათ გავმხდარიყავით?

გლეხებო! განა იმიტომ მოგცათ თქვენ მიწა რევოლუციამ, რომ ჩვენმა დამპყრობელმა ოსმალეთმა ეს მიწები ახალ მემამულეებს მიასაკუთროს?

მუშებო! განა იმისთვის ატარებდით თქვენ რევოლუციის დროშა, რომ ის ტალახში ამოსვაროს დამპყრობელის ფეხმა?

სახელის გატეხა და მონობა, ან ომი—სხვა გამოსავალი გზა ჩვენს წინაშე არ არის. დეე იმ მოსალოდნელ საშიშროების წინაშე, რომელიც თავს ადგია ჩვენი ქვეყნის ყველა ერებს, დავიწყებულ იქნას ყოველგვარი დავა, შური და უთანხმოება, რაიც ჩვენს რაზმებს დღემდე ასე ანცალკევებდა.

საუკუნო მონობის უღელი აქვს გამზადებული კისრად ჩვენი ქვეყნის ყველა ერებს. დეე მტრის შემოტევა ჩვენმა მტკიცე გადაწყვეტილებამ დაამსხვრიოს, რომ ამოდენა შთამომავლობათა სისხლით მორწყულ ჩვენს მამულს ბოლომდე დავიცავთ.

ყველამ იარაღს მოჰკიდეთ ხელი!
ყველა გაეშურეთ ფრონტისაკენ!
გამოდით ყველანი თავისუფლებისა და სამშობლოს დასაცავად!

ამიერ-კავკასიის სეიმი.

ბოლშევიკებთან კავშირი?

ქართველი ერი რომ დღეებს განიცდის, ამის მსგავსი ძნელად თუ ახსოვს მის ყოვლის წარსულ მატიანეს. საქართველოს საზღვრებში მტერი შემოიჭრა და მისი საუკეთესო ნაწილები დაიკავა. დანარჩენ მის საზღვრებსაც აგრეთვე დარაჯობენ, არ ვიცით, რის მოლოდინში. შესაძლოა ჩვენს სამშობლოს რკალივით გარს შემოერტყას აშკარა მტრები თუ დღემდის მეგობრულად განწყობილი მეზობლები, რომელთანაც ჩვენ არ ვისურვებთ და არ მოვინდომებთ შეთანხმება და შერიგება.

ჩვენ იმედებით ვცოცხლობდით. გვქონდა იმედი რუსეთის დემოკრატიისა, რომელსაც თავისი ქვეყანა უნდა აეშენებინა და ჩვენთვისაც ეშველა. ჩვენ მოწმენი გავხდით ამ დემოკრატიის დაცემისა და დაუძლურებისა. რუსეთში ბოლშევიკურმა მიმართულებამ გაიმარჯვა და ამან დააჩქარა რუსეთის საბოლოოდ დარღვევა და დაქცევა. ამ ბოლშევიკურმა მთავრობამ გამოიწვია სამოქალაქო ომი, მოსპო ყოველგვარი წესრიგი და თავისუფლება და ფართო ასპარეზი მიანიჭა ხალხში დაბალ ინსტინქტების—ძარცვა-გლეჯის, მკვლელობისა და ყოველგვარ ანარქიულ მოქმედების განმტკიცებას. ასეთ რუსეთს ყველა ერი და რუსეთის განაპირა ნაწილები ჩამოშორდა და გადაურჩა ამ საშინელი ბოლშევიკური სენის შიშით. გახლეჩილ-განადგურებულს, დაქცეულს და დამშეულს რუსეთს, რასაკვირველია, მტერი არაფერს ანგარიშს გაუწევდა და მანაც ჩამოაცილა მას ყოველივე, რაც კი მას სურდა. ბოლშევიკურმა მთავრობამ დაუთმო გერმანელთ თავისი საუკეთესო ნაწილები და მასთან ერთად ჩვენი სამშობლოსაგან განუყოფელი ბათუმის მხარე და თვით ბათუმიც.

დღეს ასეთ პოლიტიკურ ხულიგანებს იწვევს ჩვენი სოციალ-დემოკრატია საქართველოს მცველად და ოსმალეთთან ომში დამხმარედ და მოკავშირედ!

ბოლშევიკურ მთავრობას, რომელმაც გაჰყიდა თავისი სამშობლო და რას დაინდობდა საქართველოს, რომელმაც მოსპო და გაანადგურა რუსეთის შინაური მოქალაქობრივი ცხოვრება და მთელი რუსეთი ძარცვა-გლეჯის, ტერორისა და ყოველგვარი ძალმომრეობის ასპარეზად გახადა, ჩვენი მეთაური პარტია დამხმარედ იწვევს!

აქამომდე ჩვენი მენშევიკური მთავრობა ბოლშევიკებს სასტიკ ომს უცხადებდა, მათ თავის ქვეყნის დამღუპველად და გამცემად სთვლიდა, იჭერდა მათ, სჯიდა და კავკასიიდან აძევებდა. დღეს ის მათ რუსეთიდან ეპატიჟება! ნეტავ რისთვის? ქვეყნის დასაცავად? მერე რა ჩვენი ქვეყნის დაცვა შეუძლია მათ გაბოროტებულ ბრბოებს, რომელსაც მათ რუსეთში ვერსად ვერ შეუძლეს მტრის წინააღმდეგობის გაწევა და მთელი თავისი ძალა და ღონე მშვიდობიან მცხოვრებთა ხოცვა-ჟლეტას მოანდომეს?

ოსმალეთთან ომის საწარმოებლად საჭიროა დამხმარე და მოკავშირე. ასეთი მოკავშირეები ჩვენს მთავრობას აქამომდე არ უძებნია, თორემ ჩვენს მახლობელსა და შორეულს მეზობლებში ქართველი ერი მოიპოვიდა საიმედო ძალებს, რომელნიც მას მხარს დაუჭერდნენ ასეთი განსაცდელის დროს.

ეხლა გვიანდაა, მაგრამ დღესაც უნდა ვეძიოთ ასეთი დამხმარე და მოკავშირენი, მაგრამ განა ისეთნი, რომელნიც ჩვენ კი არ დაგვიცავენ, არამედ აგვიკლებენ და გაგვანადგურებენ, რომელნიც ჩვენ კი არ გაგვამაგრებენ, არამედ დაგვასუსტებენ და დაგვაუძლურებენ საგარეო ომთან ერთად საშინაო ომის გაჩაღებით, ხალხის ერთი ნაწილის მეორეზე მისევით, ანარქიისა და ძარცვა-გლეჯის დაკანონებით და განმტკიცებით?

ჩვენი მთავრობა და მისი ხელმძღვანელი მენშევიკური პარტია სახიფათო გზას ადგება. ოსმალეთთან ომის საწარმოებლად ის ისეთ ძალებს იწვევს, რომელიც ჩვენ თავდაცვის საქმეს კი არ გააუმჯობესებს, არამედ სრულიად მოსპობს და გაანადგურებს. და ამის შემდეგომ რუსეთის ბატონობის უღელს ხელ-ახლა დაადგამს ქართველ ერს. იმის ნაცვლად, რომ მენშევიკურმა პარტიამ თავისი ვიწრო პარტიული პოლიტიკა უარჰყოს ეხლა მაინც, როდესაც ჩვენ კარს ასეთი განსაცდელი მოგვადგა, ის ამ თავის შეურიგებელ პოლიტიკას კიდევ უფრო აღრმავებს რუსეთის დამღუპველი ძალების დაპატიჟებით. ქართველი ერის ყველა ჯგუფისა და ყველა მიმართულების გაერთიანების ნაცვლად, ერთიანული თავდაცვისათვის, ის ისეთ გზას ადგება, რომელმაც ქართველი ერი კიდევ უფრო უნდა დაასუსტოს, დაანაწილოს და სამხრეთიდან მოსული, თუ რუსეთიდან მოწვეული მტრის ყმად გახადოს.

ჯვარედინის გზაზე *)

ერთ დროს ჩვენი სამშობლო ჯვარედინ გზაზე იდგა. ერთი გზა რომ დასავლეთისკენ მიდიოდა, მეორე სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ იყო მიმართული და ევროპიდან ჯვაროსანთა რაზმები თუ არაბ-სპარსელ სოვდაგართა ქარავნები ერთი მეორეს ხვდებოდნენ საქართველოს მიწა-წყალზე. ამ ხშირი მიმოსვლისა და ხანგრძლივი ურთიერთობის კვალი დღესაც ნათლად ატყვია ჩვენს ქვეყანას. ჩვენი ეროვნული კულტურა დასავლეთ-ევროპიული და წინა-აზიური ელემენტების თავისებური შეერთებაა. ეს ყველაფერში აშკარად სჩანს, ხუროთ-მოძღვრებასა, მხატვრობასა, ლიტერატურასა, ხალხურ ჩვეულებებსა და ზნეობრივ შეხედულებებში. დედამიწის ზურგზე სხვაგან იშვიათად მოიძებნება ასეთი ორიგინალური სინტეზი.

ჩვენ გვაქვს წვეტიანი კოშკები და ციხე-სიმაგრეები, როგორიც ევროპიელებს და ჩვენ გვაქვს თაღიანი ქარვასლები, როგორიც არაბებსა, სპარსელებსა და მცირე აზიელებს. ჩვენი საეკლესიო კედლების მხატვრობა ბიზანტიურ ფრესკებს წააგავს, ჩვენი წიგნების სამკაულები სპარსულ-ინდოურ მინიატიურებს. ჩვენს კულტურას ევროპიულ კულტურის მსგავსათ ძველი ბერძნული განათლება უძევს საფუძვლად და ჩვენც ევროპიელებთან ერთად რაინდობისა და ფეოდალურ წესწყობილების საფეხური განვლეთ. მაგრამ ინდოელების სიბრძნეს, სპარსელების პოეზიასა და არაბების ფიზიკა-მეცნიერებას სხვებზე ადრე დავეწაფეთ და სხვებზე უფრო ადვილად დავახწიეთ თავი საშუალო საუკუნოებრივ ვიწროობას. ჩვენი დიდი მწერლები ერთნაირად იცნობდნენ ბერძენ ფილოსოფოსებსა და სპარსულ მგოსნებს და ჩვენი დიდი მთარგმნელები გულმოდგინედ აქართულებდნენ როგორც არისტოტელისა და ნეოპლატონიკოსების ისე ფირდოუსის შაჰნამესა და ფახრედინის ვისრამიანს. ჩვენი ზნეობა ინდივიდუალისტური იყო, ისევე, როგორც დასავლეთ-ევროპიული, მაგრამ მისი სიმძაფრე განელა აღმოსავლეთურმა მსოფლიო მგრძნობიარობამ.

ჩვენი ეროვნული სახე ძალდაუტანებლად ყოველთვის დასავლეთისა და სამხრეთისაკენ იყო მიმართული. ზურგი, პირიქით, დიდს ბუნებრივს ზღუდეზე გვქონდა მიბჯენილი. ეს იყო მაღალი მთაგრეხილი, რომელსაც ჩრდილოეთით ცივი და ნაკლებ სტუმართ-მოყვარე ქვეყნები აკრავდა. იქ თითქმის დღესაც ყველაფერი უცხოა ქართველებისთვის. ნიადაგის ზედა პირი ჩვენი ქვეყნის ზედა პირს არა ჰგავს, ჰავა ჩვენს ჰავას. აქ ცოტაა ისტორიული ნაშთები და მათ შორის არა მოიპოვება არც ჩვენებური მედიდური ციხეები, არც ჩვენებური ნათელ-მარმარილოსებური ტაძრები. მკვიდრთათვის გაუგებარი ჩვენი რაინდული და ინდივიდუალისტური შეხედულებები, ჩვენ კიდევ მათი ბუნდოვანი მისტიციზმი და მათი უპიროვნო მორალი გვეუცხოვება.

უბედურმა შემთხვევამ დაგვაახლოვა ამ უცხო ქვეყანასთან და ჩვენი სულიერი შეუღლება უკანონოა. მეცამეტე საუკუნეში სპარსეთის კულტურა ველურმა მონგოლებმა დაამხეს, მეთხუთმეტე საუკუნეში ოსმალებმა ბიზანტიის იმპერია დაიპყრეს. ჯვარედინი გზა გადიჩეხა და საქართველო კულტურულ კაცობრიობას მოსწყდა. ერთი ბილიკიღა დაგვრჩა, კავკასიის მთაგრეხილისკენ მიმავალი, და საქართველო, დიდი ყოყმანის შემდეგ იძულებული გახდა ამ გზისთვის მიემართა, მაგრამ ამ გზით [illegible] ყველაფერი მოგვიტანა გარდა ბედნიერებისა და კულტურული აყვავებისა.

დღეს მსოფლიო ომის ცეცხლში ხელ-ახლა იცვლება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა. ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენმა ეროვნულმა კულტურამ ხელ-ახლა თავი დააღწიოს ვიწრო ბილიკებსა და ფართო ჯვარედინ გზაზე გამოვიდეს. როგორც არ უნდა დამთავრდეს დღევანდელი ომი, წინა-აზიის გამოღვიძება უეჭველად მოსალოდნელია. ინგლისი და გერმანია ერთ გვარი ენერგიით მისწრაფვიან შუა მდინარისაკენ, სადაც ბიბლიური გადმოცემის მიხედვით ერთ დროს ამ ქვეყნიური სამოთხე იყო. დღეს თუ არა ხვალ ალბათ დამთავრდება ბაღდადის რკინის გზა, რომელსაც გერმანელები აშენებენ და ტრაპიზონისა და აზრუმის შტოები, რომელიც რუსებმა დაიწყეს. ჩვენი უახლოესი ევროპიელი მეზობლები, ბალკანეთიც, იღვიძებს და ევროპიულ პროგრესის გზას ადგება. ეს გარემოება ჩვენს საუკეთესო იმედებს უნდა აღაზრდოებდეს. თუ საქართველოს მოსაზ-

---

*) ეს წერილი პირველად წელიწად-ნახევრის წინათ დაიბეჭდა.

რედ.

ღვრე ქვეყნებში ბარბაროსობის წყვდიადი გაიფანტა ჩვენ თვალწინ ძველი დიდი გზები გამოჩნდებიან და ხანგრძლივი გათიშვის შემდეგ იმ კულტუროსან ოჯახს დავუბრუნდებით, რომელსაც დიდი ხანია ვეკუთვნით ჩვენი სულითა და ჩვენი წარსულით.

გერონტი ქიქოძე.

ქართული პრესა

ასეთს საშინელს მდგომარეობაში, ჩვენ რომ ვართ, უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია საჭიროა შინაური თანხმობა და ერთობა, პარტიული ბრძოლის განელება, საზოგადოების შეერთება და არა გათიშვა. „ერთობა“ კი ყოველთვის და ყოველგან შინაურ მტრების ძებნაშია. გაზეთი სწერს:

„ოსმალეთთან მომხდარმა შეტაკებამ ნათელჰყო ჩვენი შინაური მტრების ფარული განზრახვები. საკმაო გახდა მოსულიყო ცნობა ბათუმის დაცემის შესახებ, რომ რევოლუციის და ხალხის გამყიდავნი, სამშობლოს და თავისუფლების მოღალატენი ფეხზე დამდგარიყვნენ, სიხარულით ცას დასწვდენ. ბნელ კუნჭულში მიმალული სპეკულიანტები და ხალხის სისხლით მოვაჭრენი, ქალაქში შემოხიზნული მემამულეები, უსაქმოთ დარჩენილი მოხელეები და ლაჩარი ოფიცრები—ყველანი სინათლეზე გამოსვლას ლამობენ, ხალხის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ემზადებიან“.

ჩვენი მენშევიკები რუსეთიდან ბოლშევიკებს იწვევენ დამხმარეთ და რა გასაკვირველია, რომ ამას ნიადაგს უმზადებენ. ის ბნელ კუნჭულებში ჰპოულობს ხალხის მტრებსა და ხალხის გამყიდავებს, რომელნიც ბათუმის დაცემას აღფრთოვანებით და გაუხარებია. უთუოდ „ერთობას“ ამ პირების სახე ვერ გაურჩევია ბნელს კუნჭულში და ისინი მემამულეებად, ოფიცრებად და სპეკულიანტებად მოლანდებია, როდესაც ისინი უთუოდ ის პოლიტიკური სპეკულიანტები იყვნენ, რომელთაც ბათუმის დაცემა ბოლშევიკების მოწვევის მიზეზად ესაჭიროებოდათ.

მოწოდება რუსეთის ბოლშევიკებისადმი

ამიერ-კავკასიის სეიმის სო.-დემოკრატიული ფრაქცია და ს.-დ. საოლქო კომიტეტი ასეთის მოწოდებით მიმართავენ რუსეთის ბოლშევიკებს:

რუსეთის დემოკრატიას.

ამხანაგებო რუსეთის მუშებო, გლეხებო და ჯარის კაცებო!

ამიერ-კავკასიის დემოკრატიის სახელით, სასიკვდილო საფრთხის დროს, რომელიც ეწვია ჩვენს მხარეს, ჩვენ მოგმართავთ თქვენ.

ოსმალეთის იმპერიალისტებმა, ეყრდნობიან რა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას, წარმოგვიდგინეს ჩვენ მოთხოვნილებები, რომელსაც მიჰყავს ამიერ-კავკასია დამონავებისაკენ. ჩვენ არ შეგვეძლო დავთანხმებულიყავით ამ მოთხოვნილებებზე, ვინაიდან მათზე დათანხმება მიგვიყვანდა რუსეთიდან კავკასიის ჩამოშორებამდე და იქნებოდა რევოლიუციის ვერაგული ღალატი. ოსმალეთმა გადასწყვიტა მიაღწიოს თავის მოთხოვნილებათა შესრულებას იარაღის ძალით და დასძრა ჩვენს წინააღმდეგ თავისი პოლკები.

დიდი საფრთხე მოელის ამიერ-კავკასიას. და ამ დროს თქვენ უნდა დაგვეხმაროთ ჩვენ, დიდ რევოლიუციონურ ბრძოლით ჩვენო ძმებო!

ჩვენ ვიბრძოდით თქვენთან ერთად 1905 წლის ბარიკადებზე. თქვენთან ერთად ვებრძოდით ჩვენ ცარიზმს, ჩვენ ერთად ვიტანჯებოდით ციხეებში, კატორღაში, გადასახლებულები. საერთო სიხარული გვქონდა ჩვენ რევოლიუციის გამარჯვების დღეებში, საერთო იმედები გვინათებდა ჩვენ გზას წინ. და ახლა ჩვენი რაზმები, უპირიან რა გზას ოსმალეთის სულთანის ჯარებს, იცავენ რა ამიერ-კავკასიის თავისუფლებას, ამასთანავე იცავენ რუსეთის რევოლიუციის დროშას.

ჩვენი დამარცხება იქნება ზიანის მიყენება მთელი რუსეთისათვის, ჩვენი გამარჯვება შთაბერავს ახალ ძალებს რუსეთის რევოლიუციას. ჩვენ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას ბოლომდის. მაგრამ ჩვენი ძალები შეიძლება ამოილიოს. თქვენ ჩვენზე უფრო მდიდარი ხართ პურით, იარაღით, ხალხით და ფულით. ჩვენ ველით მხარის დაჭერას და დახმარებას თქვენგან.

გამოეხმაურეთ ჩვენს მოწოდებას, რუსეთის მუშებო, გლეხებო და ჯარის-კაცებო და ერთად დავიცავთ ჩვენ მტრისაგან რუსეთის დიდ რევოლუციისა და თავისუფლების ჩვენს წითელ დროშას. („ერთობა“)

საქართველოს ეროვნულ საბჭოში

აპრილის 1 სხდომა *)

კამათი და განცხადებანი

ბ. ქავთარაძე (ალიონელი). ეროვნულ საბჭომ ომის წარმოების შესახებ უკვე გამოიტანა თავისი დადგენილება. დღეს საბჭომ ეს მხოლოდ უნდა გაიმეოროს, თორემ ჩვენს დადგენილებას, სულ ერთია, არ ექნება პრაქტიკული მნიშვნელობა, მით უმეტეს, რომ გუშინ სეიმმა ომის წარმოება გადასწყვიტა. ჩვენი ეროვნული საბჭო კი დღემდის ვერ იჩენს საკუთარ სახეს და თვითმოქმედებას. საბჭო ვერ შესცვლის მთავრობის დადგენილებას. როგორც ვსთქვი, წარსულ კრებაზე საბჭომ გადასწყვიტა, არ შეურიგდეს ბათუმის დათმობას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს მის შესანარჩუნებლად. დღეს გარემოება შეიცვალა. ყველა იმის შემდეგ, რაც თქვენ აქ მოგვხსენდათ, იმ საშინელ სურათის შემდეგ, რომელიც აქ გადაგვიშალა ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარემ, მგონია, რომ ჩვენ შევსძლებდით სხვა რაიმე საშუალების გამოძებნას. მაგრამ დღესაც მთავრობა ომის გაგრძელებას ადგას. ჩემის აზრით კი ომის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია და შეუწყნარებელიც, თუ ჩვენ სხვა გზით არ ვიმოქმედეთ. ჩვენს წინააღმდეგ იმდენი შინაური მტრები არიან ამხედრებულნი, ჩვენში იმდენი ასაფეთქებელი მასალაა დაგროვილი, რომ მგონი უკვე დადგა ჩვენი აღსასრული. ყოვლად უმწეოა ჩვენი მდგომარეობა. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომელნიც გარს შემოგვერტყმიან რკალივით.

მოგეხსენებათ, ჩვენს მთავრობას ეწოდება ამიერ-კავკასიის მთავრობა, მაგრამ ამიერ-კავკასიის მთავრობა, არის მხოლოდ ქართული მთავრობა. ამიერ-კავკასიის მთავრობის განკარგულებათ ასრულებს მხოლოდ საქართველო. სომხობაც და თათრობაც თავიანთ ეროვნულ საბჭოებს ემორჩილებიან. ამ ორი ერის საბჭოები დღესაც განაგრძობენ მთავრობისაგან დამოუკიდებელ მუშაობას. ჩვენი ეროვნული საბჭო კი მხოლოდ უბრალო საინფორმაციო ბიუროდ არის გადაქცეული. და აი, ღალატი სწორედ იქ არის, რასაც ამიერ-კავკასიის მთავრობა ეწოდება (ტაში). მე მაგონდება ერთი ჟამი, რომლის გახსენებაც მსურს დღეს. როდესაც კორნილოვის ჯარი პეტროგრადს მიადგა, თბილისის ერთ უმაღლეს დაწესებულებაში მომუშავეთაგანი, ერთი მთავარი ბურჯთაგანი ძველ მთავრობისა, რომელიც მოწვეულ იყო აქ, როგორც ცნობილი რუსიფიკატორი, დადიოდა და ქართველ თანამსახურეებს ეუბნებოდა: „აჰა, დადგა თქვენი აღსასრულის დღე. ნახავთ რომ თქვენ მეთაურებს ერევნის მოედანზე სახრჩობელას აღუმართავთ“-ო. ეს იცოდა ყველა მისმა თანამოსამსახურეთაგანმა. აი ამ ჩვენმა დაუძინებელმა მტერმა ახალ მთავრობის დროს დაწინაურებაც კი მიიღო. (ისმის ხმები: „ვინ არის“) თუ ვინ არის იგი, მე ამას განვაცხადებ სადაც ჯერ-არს, საშინაო საქმეთა მინისტრთან, განვუცხადებ მთავრობას. დღემდის ეს პირი ჩვენ სათავეში ზვიდგა. ამაშია საშიშროება ჩვენი შინაური მდგომარეობისა.

მე ცნობა მაქვს, რომ შავრაზმული რუსობა ირაზმება. კახეთის ერთ პუნქტში არის რაღაც მზადება. მათ ყველგან ქსელი აქვთ გაბმული. ისინი ამხედრებენ ჩვენს წინააღმდეგ ოსებსა და ლეკებს. დღეს ჩვენი ჯარი სტოვებს ისეთ სიმაგრეს, როგორიც არის ბათუმის ციხე, მაგრამ იქ სადაც იქნება ლებედინსკი თავის შავრაზმულ შტაბით, გარწმუნებთ, რომ თვით ბოლშევიკი ვერაფერს გააკეთებს (ისმის ხმები: ძირს ლებედინსკი, ძირს!) ლებედინსკი არის ერთი მოთავეთაგანი იმის რაც წეღან მე მოგახსენეთ.

სწორედ ის ლებედინსკია დამნაშავე, რომ ჩვენ ასეთ მდგომარეობაში ვართ. რუსულ კორპუსზე კაცს თვალი დარჩება. ელლინთა კორპუსს ბინაც აქვს, სურსათიც და ჩვენი ჯარი კი უბინაოდ არის. ჩვენი ჯარი უბინაოდ არის და თბილისში კი საუკეთესო ყაზარმა მოწყალების დათა განმანაწილებელ პუნქტს უჭირავს. ნეტა ვიცოდეთ, ვის, ან რას ანაწილებენ ისინი? აი მე მაქვს სამხედრო მინისტრის ამხანაგის მიერ ხელმოწერილი განკარგულება, რომლითაც ქართველ ჯარისთვის უწყებულ პირს 15 ფუთი ბენზინი უნდა მისცემოდა, მაგრამ უკლებ უკლებ და 15 ფუთის მაგიერ 6 ფუთი ბენზინი და მისცეს. ქართულ კორპუსის უფროსს ეშოვნა ორი ცისტერნა ბენზინი. შესჩენოდა ავტონაწილის გამგე კუზნეცოვი და ეს ბენზინი მისთვის ჩამოერთმივნა, თანაც აღუთქვავს, რომ როცა დაგჭირდებათ შეგიძლიანთ წაიღოთო. ქართულ კორპუსის უფროსი შემცდარა და მიუცია. მას შემდეგ თითქმის 30 თხოვნა მიურთმევია ქართულ კორპუსის უფროსს ავტონაწილის გამგე კუზნეცოვისთვის, მაგრამ კუზნეცოვს 30 თხოვნაზედვე წაუწერნია: «ОТКАЗАТЬ» (უარი ეთქვას).

კორპუსის ინჟინერს საპიორებისათვის 500 თოფის მიღება უნდოდა. მიმართა თხოვნით აღმასრულებელ კომიტეტს. აქ მათ საჭიროთ არ დაინახეს 500 ვინტოვკის მიცემა და 500 ერთი ნული ჩამოაკლეს დარჩა 50. ხოლო როდესაც იგი მივიდა საწყობში თოფების მისაღებად იქაც აღმოჩენილა თავისი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც თავბირის შემდეგ 50 ერთი ნული ჩამოუკლია და ამ რიგად, ნაცვლად 500 თოფისა 5 თოფი მისცა. ბათომიდან დაბრუნებისას გვერჯორომა ბრძანება გასცა იქ მყოფ ჯარის კაცებისთვის მაზარები გადაეზავნათ. მე ვიცი, რომ 5 დღის განმავლობაში ეს განკარგულება არ იყო სისრულეში მოყვანილი. სანამ ჩვენს გარშემო არ მოვსპობთ შინაურ ღალატს ყოვლად შეუძლებელია ჩვენი ხსნა.

ზ. მეხაშვილი (ს.-ფ.) თუმცა ბ. ქავთარაძემ სთქვა—ეროვნულ საბჭოს გადაწყვეტილებას არ ექნება მნიშვნელობა, მაგრამ მე კი ვფიქრობ—იმის გადაწყვეტილებას უფრო დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა ექნება, ვინემ ამიერ-კავკასიის სეიმისას. ჩვენ წინად გამოვსთქვით აზრი და სეიმმაც დაადასტურა, რომ ბრესტის ხელშეკრულებაზე დათანხმება და მისი დადასტურება ნებაყოფლობით იქნებოდა თვითმკვლელობის ჩადენა, რასაც ჩვენ თავზე ვერ მოვახვევდით ჩვენს ერს! ს.-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით ვაცხადებ, რომ საჭიროა მთელი ჩვენი ძალის მობილიზაცია და სასტიკი ომის წარმოება. ჩვენ ამ ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ უფლება, რათა წარვსდგეთ საერთაშორისო კონგრესზე. ამ ომით უნდა გავამართლოთ ჩვენი ეროვნული თვითშეგნება ხალხისა, უნდა ავსწიოთ იგი! ბათომი დავკარგეთ, მაგრამ ომი მაინც უნდა ბოლომდის ვაწარმოოთ; დეე, დაგვიპყრან ძალით, ნებით კი არავის გავათელვინებთ ჩვენს ეროვნულ უფლებებს.

ბ. საყვარელიძე (ალიონი). მეტად დიდი საკითხი აქვს გადასაწყვეტი ეროვნულ საბჭოს. ეროვნულ საბჭომ წინა კრებაზე დაადგინა, ომი გავაგრძელოთ. ჩვენ ვიცოდით, რომ ომის მოგება არ შეგვეძლო. ჩვენთვის აუცილებელი იყო ერთი შეტაკება, უამისოდ ბათომს ვერ დავთმობდით. დღეს ბათუმი მტრის ხელშია. შეიძლება ოსმალეთმა წინ წამოიწიოს. ჩვენ შევებრძოლეთ იმდენად, რამდენადაც შეგვეძლო. ჩვენ არ შეგვიძლიან ქვეით ვაწარმოვოთ ომი. აქ ვთქვი: ომი ქართველ ერის გამოსაბრძმედებლად უნდა ვაწარმოვოთო. თუ მთელი ჩვენი იარაღი და სურსათი მტერს ჩაუვარდა, ჩვენ ომი აღარ შეგვიძლიან. წინადადებას ვაძლევთ ჩვენს მთავრობას, რომ ეს საკითხი ხელ-ახლა გადასინჯოს, რადგან ომის გასაგრძელებლად არავითარი სამხედრო საშუალება არაა და არც საამისო სულიერი განწყობილება.

ჩვენ ხელ-ახალი საზავო მოლაპარაკება უნდა გავმართოთ გამარჯვებულ ოსმალეთთან. ბათომის აღების შემდეგ უნდა ვარჩიოთ ოსმალეთის შემოსვლა მშვიდობიან გზით. ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება უნდა გამართოს საქართველომ. ზოგი ლაპარაკობს ამიერ-კავკასიის ორიენტაცია უნდა მივიღოთო. ეს, ჩემის აზრით, აბსურდია. წუხანდელ სეიმის სხდომის შემდეგ, ამის თქმა ყოვლად შეუძლებელია, მით უმეტეს თათრები, სახელმწიფოს მცხოვრებთა ⅓ წინააღმდეგია ომისა. საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად საქართველო დამოუკიდებლად უნდა გამოვიდეს ამიერ-კავკასიიდან. ეს საკითხი წინასწარ სეიმში უნდა დაისვას. სომხებს მოველაპარაკებით. დღეს ისეთი მდგომარეობაა, რომ ამიერ-კავკასიის სეიმის სახელით ომის წარმოება ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ ბრძოლა არ შეგვიძლიან, იმიტომ რომ ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ მაჰმადიანებს გადავიკიდებთ სამუდამოდ. თუ ჩვენ ბრძოლას განვაგრძობთ, ჩვენ შინაური, ოსმალეთის არა ლეგალური ბრბოები მოგვსპობენ. ბოლშევიკების იმედი არ უნდა გვქონდეს. ბოლშევიკები მეგობრობას ვერ გაგვიწევენ, პირიქით, მათი მოჩვენებითი დახმარება გადაგვკიდებს ოსმალებს, ინგუშებსა და ლეკებს. ბოლშევიკების, გახულიგანებულ მასსის ბატონობა ჩვენს ქვეყანას ეკონომიურად ას-წლობით უკან დასწევს. აბა, ბატონებო, რუსული ორიენტაცია დამღუპველია, მაგრამ არა ნაკლებ დამღუპველია ამიერ-კავკასიის ორიენტაცია. ომის წარმოება ჩვენ არ შეგვიძლია. „ალიონის“ ჯგუფი წინადადებას იძლევა, რომ ჩვენმა ფრაქციამ გადასინჯოს ეს საკითხი, შემდეგ იგი სეიმში დაისვას, რომ ოსმალეთთან მოსალაპარაკებლად საქართველო ცალკე გამოვიდეს. საქართველოს სხვა გზა არა აქვს.

ს. ხომერიკი (ს.-დ.). ბათომის აღებით მდგომარეობა არ შეცვლილა. განა ერთი კვირის წინ ჩვენ არ ვიცოდით, რომ მტერზე ვერ გავიმარჯვებდით? ზოგს ჰგონია, რომ ოსმალეთს ჰსურს ომის სფეროდან ჩვენი გამოყვანა. ეს მართალი არ არის. ოსმალეთს უნდა ამიერ-კავკასიის დამონება. ასეთ პირობებში ჩვენ დამარცხებულ რუსეთთან ყოფნა გვირჩევნია. ქართველ ხალხს ოსმალეთს ვერ დავუმორჩილებთ. ჩვენ ამას ვერ ვიზამთ. დაე, დაგვიპყრან. ჩვენ ვერ დავნებდებით. ხალხს უნდა ომი. დაე, იარაღით ხელში წაგვართვან თავისუფლება, ოღონდ სულით ნუ დავმარცხდებით და ნებით ნუ დავმორჩილდებით.

ი. გობეჩია (ს. რ.). იმ აზრს გამოსთქვამს, რომ საჭიროა ომის წარმოება და შეუძლებელია ზავზე ლაპარაკიო.

გერონტი ქიქოძე (ეროვნ. დემოკრ.) მოვლენათა განვითარებამ დაამტკიცა რომ ამიერ კავკასია, როგორც სახელმწიფო, არ არსებობს. შინაგან ძალთა გათიშვის გამო მას არ შეუძლია შინაურ საქმეების გაძღოლა, მით უმეტეს მისთვის შეუძლებელია საგარეო პოლიტიკის წარმოება. ამისდამიუხედავად ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტას აქამდე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის სეიმი და სამინისტრო კისრულობდა. ეროვნული საბჭო წარმოადგენდა არა საჯარო უფლების ფუნქციებით აღჭურვილ ორგანოს, არამედ უბრალო საინფორმაციო ბიუროს, რომელიც ცნობად ღებულობდა სეიმისა და მთავრობის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, ასე დღესაც. ამიერ-კავკასიის მთავრობამ გუშინ კიდეც გადაწყვიტა ომის საკითხი. დღეს ამას post factum ჩვენც გვატყობინებენ. ამის შემდეგ ჩვენს დასტურსა ან უარყოფას მხოლოდ ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს. თავისთავად ცხადია რომ ყოველი ჩვენგანი როგორც მოქალაქე ვალდებულია დაემორჩილოს ამიერ კავკასიის მთავრობის გადაწყვეტილებას. მიტომ რომ სხვა კანონიერი მთავრობა ჩვენ არა გვყავს. ჩვენ მოღალატეები ვიქნებოდით რომ დღეს ხალხი ნეიტრალიტეტისა ან წინააღმდეგობისათვის მოგვეწოდებინა. მაგრამ, ჩემის რწმენით სულ სხვა იქნებოდა ჩვენი საგარეო პოლიტიკა და ჩვენი ორიენტაცია, ჩვენი ქვეყნის ბედი, ომისა და ზავის საკითხი საქართველოს შესახებ ეგრედ წოდებული „ამიერ-კავკასიის“ რევოლიუციონური დემოკრატიისა და სეიმის ხელში კი არ ყოფილიყო, არამედ საქართველოს ეროვნული მთავრობისა და ეროვნული საბჭოს ხელში. მე მწამს, რომ თავის ეროვნული ეკონომიურ-პოლიტიკური ინტერესების შეგნება ქართველ ერის პოლიტიკას ჩრდილოეთისაკენ კი არ მიმართავდა, როგორც ეს ამიერ-კავკასიის სეიმმა მოიმოქმედა, არამედ დასავლეთისაკენ.

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს ის ჭეშმარიტება, რომ დღეს მხოლოდ ორი ორიენტაციაა შესაძლებელი. მთელი კაცობრიობა ორ ბანაკადაა გაყოფილი: ერთი მხრით სდგას გერმანია, მისი მოკავშირეები და მეგობრები. მეორე მხრით ინგლისი, მისი მოკავშირეები და მეგობრები. არსებობს ორიენტაცია გერმანული—არსებობს ორიენტაცია ინგლისური. ჩვენს პრესაში და კრებებზე ხშირად გამიგონია, თითქო შესაძლებელი იყოს როგორც ამიერ-კავკასიური ორიენტაცია. ეს სრული გაუგებრობაა. ამიერ-კავკასიაც, როგორც სხვა ქვეყნები, იძულებულია ან ერთს ან მეორე მებრძოლ მხარეს მიემხროს. და რადგან სეიმმა და სამინისტრომ ოსმალეთს ომი გამოუცხადა ის ნებით თუ უნებლიეთ გერმანიისა და ოსმალეთის მოწინააღმდეგე კოალიციას მიემხრო. ამიერ-კავკასია იმ თავითვე რუსულ ორიენტაციას ადგია. ამას ბევრი მტკიცება არ უნდა. როცა წარსული წლის დეკემბერში ოტტომანურმა მთავრობამ ხაზგასმით ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკას საბოლოო ზავი შესთავაზა, თბილელმა მთავრობამ უპასუხა რომ ამიერ-კავკასია რუსეთის რესპუბლიკის ნაწილია, რუსეთში კი ომისა და ზავის საკითხს დამფუძნებელი კრება გადასწყვეტსო. ამ პასუხის მიხედვით ამიერ-კავკასიის მთავრობამ თავისი დიპლომატიური წარმომადგენლები აღარ გაგზავნა ბრესტ-ლიტოვსკში. ამას კი ის მოჰყვა, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა ბათომი, ყარსი და არტაანი ოსმალეთს დაუთმო. ამ გარემოებასაც კი არ შეუცვლია ამიერ-კავკასიის მთავრობის პოლიტიკის მიმართულება. საზავო მოლაპარაკების დაწყების წინ, შემდეგ ტრაპიზონში ორჯერ დაისვა საკითხი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ. ორივეჯერ საკითხის გადაჭრა გადადეს. ამგვარად ამიერ-კავკასია ოსმალეთის წინაშე იურიდიულად ისე წარსდგა როგორც რუსეთის ნაწილი. გუშინ კიდევ სეიმში ერთმა მეტის-მეტად პასუხის მგებელმა ორატორმა ბ. ი. წერეთელმა აშკარად განაცხადა, რომ მას დიდი იმედი აქვს რუსეთის დახმარების. მისი აზრით ბოლშევიკური რუსეთი ერკვევა და მოსალოდნელია ხელახალი ბრძოლის დაწყება გერმანულ იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამგვარად დღეს ამიერ-კავკასია რუსეთის იმედით ომში ებმება გამარჯვებული კოალიციის წინააღმდეგ. ყველასათვის უეჭველი უნდა იყოს რომ ომი ოსმალეთთან ნიშნავს აგრეთვე ომს გერმანიასა, ავსტრია-ჰუნგრეთისა და ბულგარეთთან. შეეფერება თუ არა ეს საქართველოს ინტერესებს? ვიმეორებ რომ ორიენტაციის საკითხი ჩვენ წინაშე ხელახლა დადგება, თუ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მთავრობა გადადგა და საქართველოს ეროვნული საბჭო სახელმწიფოებრივ ორგანოდ იქცა. ამ ომის დროს თითქმის ყველა ერის წინაშე იდგა ორიენტაციის საკითხი და ბევრ ალაგას ერთგვარი გაორება მოხდა. რუმინიასა, იტალიასა და საბერძნეთში ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე გერმანოფილურ პოლიტიკას ადგა, ზოგიერთი კიდევ ანგლოფილურს. მე გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ მტკიცე გერმანოფილი ვარ: მაგრამ თქვენ უფლება არა გაქვთ სამშობლოს მოღალატეობა მიკიჟინოთ, როგორც სონინოს, ბრატიანუს ან ვენიზელოსს უფლება არ ჰქონდა ჯიოლიტტისა, კარპისა ან მეფე კონსტანტინესთვის სამშობლოს მოღალატეობა ეკიჟინებია. თქვენ მეგობრად სთვლით რუსეთს. მე მგონია ეს იმით აიხსნება, რომ თქვენს წარმოდგენაში ჯერ კიდევ წარსული რუსეთი სცოცხლობს და ანგარიშს არ უწევთ იმ დიდს რევოლიუციას, რომელიც მოახდინა არა ბოლშევიკურმა აჯანყებამ, არამედ საერთაშორისო ომმა. დღეს რუსეთი ის აღარ არის, რაც ომამდე იყო. მას ჩამოეცალა ყველა ინდუსტრიული და სამეურნეო პროვინციები. მაშასა-

---

*) იხ. „საქართველო“ № 72.

დამე მას ჩვენთვის არ შეუძლია არც ფაბრიკატების, არც პურის მოწოდება. რუსეთს დაეხშო ყველა საზღვაო გზები. ბალტიის ზღვის სანაპიროები გერმანიამ წაიღო, ოდესსა და ნიკოლაევი უკრაინამ, არხანგელსკსა და მურმანს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა არ აქვს და თუ არ ვსცდები ამ ნავთსადგურებსაც ინგლისელები სდარაჯობენ, ვლადივოსტოკს იაპონელები იჭერენ. ამის შემდეგ გასაკვირალი არ არის, რომ ყოველი რუსი უკიდურესი სოციალისტიდან დაწყებული უკიდურეს რეაქციონერებამდე ასე ებღაუჭება საქართველოს. რუსეთს აღარ შეეძლება უსაქართველოდ არსებობა და განვითარება. ყოველი გზა, რომელიც მიმავალ პეტროგრადსა ან მოსკოვს გარეშე ქვეყანასთან შეაერთებს, უსათუოდ ჩვენს ქვეყანას, სამშობლოს გადასჭრის. ჩვენ მიწა-წყალზე მოხდება იმ იმპერიალისტური ენერგიის დაგროვება, რომელიც აქამდე პოლონეთსა, ფინლიანდიასა, ოსტზეის მხარესა და უკრაინაში იყო გაშენებული და ას ოცი მილიონი ხალხის შემოსევა ისევე ადვილად წალეკავს პატარა საქართველოს, როგორც წინად ჩერქეზეთი და აფხაზეთი წალეკა. პირიქით ოსმალეთისთვის საქართველო ასე საჭირო არ არის: ოსმალეთს ბევრი საზღვაო გზა აქვს, კონსტანტინეპოლი, სმირნა, ტრაპიზონი, ბეირუთი, არც ერთი ეს გზა პირდაპირ არ სჭრის საქართველოს. ამას გარდა ოსმალეთის მთავრობას კარგად უნდა ესმოდეს, რომ მისთვის ასე ადვილი არ არის ქრისტიანული ქვეყნის ანექსია. ამიტომ, ჩემის აზრით, ოტტომანური იმპერია საუკეთესო შემთხვევაში ჩვენს დამოუკიდებლობას სცნობდა, უარესში ფართო პოლიტიკურ ავტონომიას. მაგრამ რუსეთი ჩვენთვის საშიშია არა მარტო ეკონომიურად და რასიულად, არამედ პოლიტიკურადაც. აქ ბევრს ლაპარაკობენ რუსის დემოკრატიაზე, მაგრამ ნამდვილად რუსეთში დღეს ხულიგანური ანარქიაა გაბატონებული და არა დემოკრატია. დემოკრატიულ წესწყობილებას ახასიათებს წარმომადგენლობით დაწესებულებები, კონსტიტუციური გარანტიები, მოწესრიგებული კანონმდებლობა. რუსეთში არ არის, არც პარლამენტი, არც სიტყვისა და პრესის თავისუფლება, არც პიროვნების ხელ-უხლებლობა. მართალია, არც ოსმალეთია დემოკრატიული სახელმწიფო, მაგრამ ახალგაზრდა ოსმალოთა რევოლუციის შემდეგ ის არც აღმოსავლეთური დესპოტიაა. იქ არის პარლამენტი და ლიბერალური კონსტიტუცია, რომელიც ბევრით არ ჩამორჩება გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის კონსტიტუციას. ყოველს შემთხვევაში უეჭველია, რომ თუ თვით საქართველოს დემოკრატია მტკიცე იქნება, მისთვის სრულიადაც საშიში არ იქნება, ცენტრალური სახელმწიფოების დაახლოვება მე მგონია, რომ ჩვენ დიდი დანაშაული ჩავიდინეთ, რომ ასე დავაგვიანეთ ეროვნული მთავრობის შედგენა და ეროვნული პოლიტიკის წარმოება: ამან დაგვაკარგვინა ბათომი, ოლთისი და არტაანი. მაგრამ ცოტათი მაინც შეიძლება საქმის გამოსწორება. თუ საქართველოს ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია მოხდა, მან იქნებ კიდევ შესძლოს საპატიო ზავის შეკვრა ოსმალეთთან. ხოლო თუ, დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება არ მოხერხდა, მისი ანაზღაურება მაინც სხვა მხრივაც შეიძლებოდა. მტერი შემოგვესია ჩრდილოეთიდან, სოხუმი დაიჭირა და ზუგდიდსა და ახალ-სენაკს ემუქრება. თუ ჩვენ პრეტენზიებს ვაცხადებდით შავი ზღვის ნაპირზე ბათომის სამხრეთით, შეგვიძლია ასეთივე პრეტენზიები გავაცხადოთ ფოთის და სოხუმის ჩრდილოეთითაც. ეს ტერიტორიაც ჩვენს ისტორიულს საზღვრებში შედის, დღეს ჩვენი ახალშენების ტალღა იქით მიისწრაფის.

(დასასრული ხვალ)

რუსეთი

ასტრახანში

ასტრახანი ბოლშევიკებთან ბრძოლით ნახევრად დანგრეულია. ქალაქში უმუშევრობაა. ძარცვა-გლეჯა, თავდასხმას და მკვლელობას ბოლო არ ეძლევა.

ყაზანის წამლის ქარხნის დახურვა

პეტროგრადიდან ყაზანის წამლის ქარხნის დახურვას მოითხოვენ. მუშებს და მრავალრიცხოვან შტატს ითხოვენ.

სამხრეთის ფრონტზე

დონის-როსტოვი. ჩერნიგოვის მიმართულება: რუსების რაზმები დნეპრით წინ მიდიან.

გლუხოვის მიმართულება. რუსების რაზმი სუიმზე გადავიდა, იქ მდგომ მტერს უკან დაახევინა.

ნოვოზიბკის მიმართულება. მტერმა შემოტევა დაიწყო.

უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკა. მთელ ფრონტზე მტერმა იერიშები დაიწყო. ლიუბოტინის რაიონში (ხარკოვიდან 40 ვერსით სასტიკი ბრძოლაა. კურსკის სამხრეთით 70 ვერსზე მტერთან ბრძოლა გვაქვს უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის ჯარები რაინდულ წინააღმდეგობას უწევენ მტრის მთავარ ძალებს.

ტყვეების დაბრუნება

გერმანეთიდან ტყვეების პირველი პარტია პეტროგრადს დაბრუნდა. ტყვეებს საშინელი შეხედულება აქვთ.

რადიო-ბიულეტენი

აპრილის 4 ის ცნობა

სტამბოლი. აპრილის 16. გერმანეთის ოფიციალი. კავკასიის ფრონტი. ცნობები არ მოსულა. დასავლეთის ფრონტი. ჩვენი იერიშები ლისთან სრული გამარჯვებით დამთავრდა. ყუმბარების აფეთქებით, 1914 წლის ბრძოლის დროს ამოთხრილი ორმოები ხელჩართული ბრძოლის შემდეგ ავიღეთ. მცირე საარტილერიო მომზადების შემდეგ მოულოდნელ იერიშით ავიღეთ ჟულვერჰემი და მტრის სხვა პოზიციები. იმ ადგილის ორივე მხარეზე მტერს კონტრ-იერიშები მოაქვს. ინგლისელთა რაზმები გავფანტეთ. მენვეჯერესა და ბაილეს შუა ჩვენმა ჯარმა მტრის მიერ დაპყრობილ მაღლობებზე იერიში მიიტანა და ფიცხელი ბრძოლის შემდეგ მტერი განდევნა. ინგლისელთა იერიშები თაონზე მოვიგერიეთ.

შონნის ორთავე მხარეზე მოსულისა და მონდიდიეს მიდამოებში ბრძოლა გრძელდება. საარტილერიო ბრძოლის შემდეგ ნარამსა და ლიუსბახთან მტრის პოზიციები ავიღეთ. უაზა-ესნენის არხზე და მოძლის დასავლეთის ნაპირზე ჩვენ მარჯვეთ ვმოქმედებდით.

აღმოსავლეთის ფრონტი. ჰელსინგფორსის აღმოსავლეთით, ლოვიზაში გადასხმულმა ჩვენმა ჯარმა მიუხედავად დიდი გაჭირვებისა ყინულების სახით ლაპტრუსკი აიღო და მტრის წინააღმდეგობა დასთრგუნა. ჩვენმა ჯარმა აქ ტამერსფორს-ვიბორგის გზას მიაღწია ლანის ჩრდილოაღმოსავლეთით.

ვენა. აპრილის 16. იტალიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

ლონდონი. აპრილის 16. ინგლისის ოფიციალი. ნუაიონის სექტორში ფრანგებმა ბრძოლა მოიგეს. უაზის არხთან, ორბენთან და ესპრისთან და ვოგეზებში ფრანგები მარჯვედ მოქმედებდნენ.

პრაგა. აპრილის 16. უპურობის გამო ბევრ ოჯახში შიმშილია. სხვა ქალაქებში კართოფილის კვირის რაციონი 2 გირვანქიდან 1 გირვანქამდე შეამცირეს.

„ფოსიშე ცაიტუნგ" ზარალის ანაზღაურების შესახებ სწერს: დასავლეთის ფრონტზე გამარჯვება გერმანეთის ერს უფლებას აქვს მმართველ წრეებს შორსმჭვრეტელობის უქონლობისთვის წყევლა-კრულვა შეუთვალოს.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **ბათუმიდან ჩამოსულნი დაბეჯითებით არწმუნებენ,** 1 აპრილს, მართალია, ოსმალნი ქალაქში შემოვიდნენ, მაგრამ შემდეგში ძლიერი საარტილერიო ბრძოლა დაიწყო, ჩვენებმა იერიშები მიიტანეს და დაიბრუნეს როგორც ქალაქი, ისე მისი მთავარი სიმაგრეებიო.

◆ **გურულების კრება.** აპრილის 3 საღამოთი მუშტაიდში შესდგა თბილისში მცხოვრებ გურულების მრავალრიცხოვანი კრება კ. ნინიძის თავმჯდომარეობით. მან წაიკითხა მოხსენება მომენტზე. კრებამ აირჩია 11 პირი, რომელთაც უნდა შეადგინონ გურიის დამხმარე კომისია, რომლის განკარგულებაში ყოველმა გურულმა უნდა შეიტანოს ყოველთვიურად 5 მან. და ერთდროულად 10 პროც. შემოსავლისა.

„საქართველოს" კონტორა აცხადებს, რომ დღეიდან გაზეთის გზავნა ესპობათ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული პირველ აპრილამდე ჰქონდათ გადახდილი.

◆ **კრება თბილისის უმაღლეს კურსებზე.** აპრილის 3 საღამოთი შესდგა უმაღლეს კურსების სტუდენტთა კრება, რომელმაც დაადგინეს: შემოღებულ იქნეს შრომის ბეგარა და ყველა სასწავლებლებში სწავლა შესწყდეს, რათა სტუდენტებს საშუალება მიეცეს ფრონტზე წასვლისა. კრებას 600 მსმენელი დაესწრო.

◆ **საქონლის გატაცება.** აპრილის 3 რ. და ბ. ქურჩიეშვილის მაღაზიიდან ბოროტ-მოქმედებმა 35,000 მანეთის საქონელი გაიტაცეს.

◆ **ბრმათა სკოლისა და კავშირის** სასარგებლოდ ხუთშაბათს 5 აპრილს სახაზინო თეატრში იდგმება იოლანტა, სოფლის პატიოსნება და ბალეტი: პარასკევს—აპრილის ექვსს ძმათა ესიკოვების ცირკში თვითონ ესიკოვები გამოვლენ, ხოლო კვირას 8 აპრილს „სახალხო სახლში" ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნება „არშინ მალალან".

◆ **8 აპრილს, კვირას, დილით** ქართულ კლუბში წარმოდგენილი იქნება პირველად თბილისის სცენაზე ახალი პიესა შალვა დადიანისა „გუშინდელნი". პიესას დასდგამს თვით ავტორი. სხვათა შორის წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ალ. წუწუნავა.

◆ **მსახიობთა კრება.** დღეს, დილის 12 საათზე ქართულ კლუბში დანიშნულია საგანგებო კრება ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭოს მიერ. განსახილველი საგანია მიმდინარე მომენტი. თბილისში მყოფ წევრებს დაბეჯითებით სთხოვენ მობრძანდნენ.

◆ **ქართული წარმოდგენა.** დღეს, ხუთშაბათს 5 აპრილს ქართული კლუბის თეატრში შ. დადიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ა. ყაზბეგის ცნობილი ისტორ. პიესა „ქეთევან წამებული".

ბათუმის დაბრუნება

ბათუმის ბრძოლის ერთი მონაწილე, რომელიც იქიდან აპრილის 2, დილის 10 ს. გამოსულა, ამბობს, რომ ოსმალებმა ბათუმი აპრილის 1, საღამოს დაახლოვებით 6 საათზე აიღეს. შემოსეულ მოწინააღმდეგეს ჩვენმა ჯარმა მძლავრად შეუტია, მაგრამ მძიმე ნისლისა და დიდი წვიმის გამო ჩვენებმა იერიში შესწყვიტეს. ამ დროს ერთ-ერთ მეჩეთზე თეთრი ტილო ააფრიალეს. მე მგონია, რომ ეს დროებით ბრძოლის შეწყვეტის ნიშანი იყო, როგორც ეს 3 დღის წინად მოხდა. ალბათ ჩანდა, რომ ნიშნით ოსმალებს გადასცეს ბათუმი, რომელშიც შემოცვივდნენ ოსმალნი და ჩვენები ჩაქვის მიმართულებით გამოდევნეს. აფიცრის სიტყვით ბათომი პროვოკაციულის გზით გადასცეს ოსმალთ. აპრილის 2 შუადღისას, სევასტოპოლიდან შავი ზღვის ფლოტის ცენტრისაგან ესკადრა მოვიდა, გაჩაღდა ღამის ბრძოლა. მოსულმა ჯავშნოსნებმა წვიმასავით დააყარეს ფორტებს ყუმბარები. ოსმალები ზედიზედ განდევნეს ყველა ფორტებიდან. ამავე დროს ჩვენმა ქვეითმა ჯარმა მედგრად შეუტია მტერს და როგორც ბათუმი ისე მისი ყველა ფორტები საბოლოოდ განთავისუფლდა მტრისაგან, აპრილის 2 დილის 6 საათზე. აფიცრის სიტყვით ყველა ეროვნული სამხედრო ნაწილები ამ ჟამად ერთმანეთშია არეული. ჯარში ამ ჟამად რკინის დისციპლინაა. ოდნავ უკან დახევისთვის სიკვდილით სჯიან ყველას. ბათომის დამცველთა სულიერი განწყობილება საუკეთესოა.

საზავო დელეგაციის დაბრუნება

გუშინ წინ დილით თბილისს დაბრუნდა ტრაპიზონიდან საზავო დელეგაცია. ტრაპიზონიდან იგი აპრილის 1-ს გამომგზავრებულა „ვეჩე"-თი. გზაში გემს ჰსურდა რადიოთი კავშირის დაჭერა ბათომთან, მაგრამ მან ბათომიდან პასუხი ვერ მიიღო. გადასწყვიტეს, რომ ალბად ბათომი ოსმალების ხელშია, და გემით ფოთისკენ გამოემგზავრნენ. ფოთში დელეგაცია აპრილის 2-ს დილით მოვიდა. დილით დელეგაცია სამტრედიისკენ გამოემგზავრა, სამტრედიაში ითათბირეს ა. ი. ჩხენკელმა და იმ ჟამად სამტრედიაში მყოფ წერეთელმა, ჩხეიძემ, ჟორდანიამ, ნ. რამიშვილმა, გენ. მდივანმა, ქუთათელაძემ და სხვებმა. საღამოს დელეგაცია თბილისისკენ გამოემგზავრა. ტრაპიზონში დარჩნენ პარტიულ საქმეების გამო: დელეგაციის წევრი გაჯინსკი (მუსსავატელი), დელეგაციაში მყოფი გრიგოლ ვეშაპელი (ეროვნ. დემოკრ.) და ფიფინოვი (მაჰ. სოც.-ბლ.) ტრაპიზონშივე არიან ამას წინად იქ ჩასული მთიელთა წარმომადგენელი ჰაიდარ-ბეგი, ბამმატოვი, ჩერმოევი და სხვ.

აპრილის 3-სთვის ტრაპიზონში ენვერ ფაშას ელოდნენ. ენვერ ფაშას ჩვენი დელეგაციის ნახვა სურდა.

დებულება

ამიერ-კავკასიის დაცვის უმაღლეს საბჭოსი

1) სეიმის მარტის 31-ის სხდომაზე მიღებულ დადგენილებით არსდება ამიერ-კავკასიის დაცვის უმაღლესი საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: მთავრობის თავმჯდომარე ე. პ. გეგეჭკორი, ფინანსთა მინისტრი კარჩიკიანი და შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი.

2) თავდაცვის უმაღლეს საბჭოს მიზანია ამიერ-კავკასიის მმართველ ორგანოების და კავკასიის ლაშქრის მოქმედების გაერთიანება, რათა, უზრუნველჰყოს ჯარისა მცხოვრებთათვის უკეთესი პირობები და უკუაქციოს ამიერ-კავკასიაში შემოჭრილი მტერი.

3) თავდაცვის უმაღლეს საბჭოს საგანგებო ძალაუფლება ეინიჭება და მისი ან საბჭოს ცალკე წევრების განკარგულებანი, რომლებიც საბჭოს სახელით იქნება გაცემული, უნდა შეასრულოს მთავრობის დაწესებულებებმა, საზოგადო სამმართველოებმა, ორგანიზაციებმა, ყველა დაწესებულებათა მოხელეებმა და ყველა მცხოვრებლებმა.

4) კავკასიის ლაშქრის მთავარ-სარდალი პირდაპირ ემორჩილება თავდაცვის უმაღლეს საბჭოს და თავისუფალი რჩება საოპერაციო განკარგულებების გაცემაში და საბჭოსგან მხოლოდ საერთო საოპერაციო მიზნების შესახებ იღებს განკარგულებებს.

5) მინისტრები და ცალკე დაწესებულებათა გამგეობანი პირდაპირი თავდაცვის საბჭოს ექვემდებარებიან.

6) თავდაცვის საბჭოს ყოველგვარ განკარგულების და ბრძანების დამრღვევნი მაშინვე იქნებიან დასჯილნი სასტიკად.

7) თავდაცვის უმაღლესი საბჭო მოქმედებას იწყებს აპრილის 3.

ამიერ-კავკასიის თავდაცვის
უმაღლესი საბჭო.

ანარქია ამიერკავკასიაში

არარატი. აპრილის 3. ინჟინერი მარკოვი გზათა მიმოსვლის მინისტრს. ჯულფის გზაზე მატარებლების წესიერი მოძრაობა სად. არარატამდე, ნორაშენამდე ლიანდაგი აღდგენილია. ტელეგრაფი ჯერ კიდევ არა მუშაობს. გზის აღსადგენად მიდის 4 მატარებელი: ჯავშნიანი, მუშები, სახელოსნო და დელეგაცია, ლიანდაგის აღდგენაში მაჰმადიანებიც გვეხმარებიან. მაჰმადიანთა დიქტატურის შემადგენლობაში ერევნიდან მოვიწვიეთ პრინცი მამედ ირასიმოვი და იბრაჰიმოვი.

ბაქოში

ქალაქის და მის მიდამოებში კვლავ შიშიანობაა. ბაქოსკენ მაჰმადიანთა რაზმები მიდიან დაღესტნიდან, ყუბადან, ნუხის და შემახის მაზრებიდან და სამხრეთ ამიერ-კავკასიის სხვა რაიონებიდან. თვითეულ რაზმს ხარბაზნების, თოფების და პატრონების გარდა მიაქვთ სურსათი (ფქვილი, ბრინჯი, მიჰყავთ საქონელი) რამდენიმე დღის საკმაო. რაზმის ხელმძღვანელები აცხადებენ ან დავიხოცებით და ან ბაქოში ბოლშევიკებს მოვსპობთო.

ამ დღეებში, ხუნძახში მყოფ დაღესტნელებთან მისულა ბაქოს მაჰმადიანთა დელეგაცია. დელეგაციას უთხოვნია რომ ბაქოს წინააღმდეგ არ გაილაშქრონ, რადგან ასეთ შემთხვევაში ბაქოს მაჰმადიანებს ერთიანად ამოჟლეტენო. დაღესტნელებმა უპასუხეს, რომ რაკი ჩვენ, გადავწყვიტეთ ბაქოელებისათვის სიკვდილი მით უმეტეს თქვენ უნდა იბრძოლოთ თქვენი თავისთვისო. ამას მოითხოვს მაჰმადიანთა პატიოსნებაო. დაღესტნელებმა სთხოვეს ბაქოელებს, რომ ჯგუფ-ჯგუფად მაინც გახიზნულიყვნენ ქალაქიდან რადგან მეტად სასტიკი ბრძოლა იქნებაო. მათ უთქვამთ: ბაქოს მიწიდან ადგილს არ დავერიდებით ოღონდ კი ბოლშევიზმი მოვსპოთო. დაღესტნელების განცხადებამ მეტად შეაფიქრიანა ბოლშევიკები.

გუშინ ბაქოდან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ სამრეწველო რაიონებში ცეცხლი გაჩნდა. დაღესტნელებს განუცხადებიათ: ამიერ-კავკასიის თათრები რომ მოგვეშველებიან ქალაქს ალყას შემოვარტყავთო. ამბობენ, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ ამხედრებულ ძალებს უნდა მეთაურობდეს მადათოვი ან და დაღესტნის პოლკის უფროსი. შეტევას დაიწყობენ ბალაჯარიდან, ბიბი ეიბათიდან და სურახანიდან.

მოწაფე და საზოგადოება

ვინც თანამედროვე ჩვენ ცხოვრებას შეხედავს არაზერელად, მას, უეჭველია, თმა ყალხზე დაუდგება.

მე არ მოგახსენებთ დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაზედ. მე მინდა საზოგადოების ყურადღება მივაქციო იმ საშინელ, გულის ამღვრევ მოვლენას, რომლის მოწამენიც ჩვენა ვართ და რომელიც გამოიხატება ჩვენს მცირეწლოვან შვილთა, მოწაფეთა თავშეუკავებელ აღვირახსნილობაში.

ნუ თუ, მკითხველო, არ გინახავს შემდეგნაირი სურათი: მოწაფე მცირეწლოვანი, მოიჭიმება და მედიდურად თამბაქოს აბოლებს... ასე ჰგონია—ეს ეს არის ზევსს ცეცხლი მოსტაცა და მისი სითბოთი მსოფლიო გაათბოო!

არ ვიცი, ვინ როგორის სიმშვიდით უცქერის ამ სურათს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ყოველი ჩვენგანი დამნაშავეა, როდესაც ამნაირ სცენას გვერდს აუვლის და არასფერს ამბობს. ცხადია, ამით იგი ამზადებს მომავალს საზოგადოებრივ პარაზიტს, შეიძლება მკვლელსაც და უკეთესს შემთხვევაში, ქურდბაცაცას.

როგორ? აი როგორ: დღეს თითო პაპიროსი—სულ უკანასკნელი—ღირს 5 კ. დღეში ოც ცალს მაინც მოსწევს, თუ სად მეგობარს შესთავაზებს,—ღმერთო ჩემო, მაშ რანაირი „ამხანაგი" იქნება თუ ასე არ მოიქცა! 25 ცალი პაპიროსისი კი ღირს არა ნაკლებ 1 მ. 50 კაპ., თვეში 45 მანეთი! გეკითხებით: ვინ მისცა ბავშვს ეს ფული? არა მგონია მოიძებნებოდეს სადმე იმნაირი ლიბერალი მშობელი, რომ ამდენი ხარჯი ეასწოროს შვილის მოსაწამლავად. ცხადია, იპარავს. ჯერ დედას ამოაცლის ორიოდე გროშს, შემდეგ მამას და, როდესაც ამნაირი შინაური ნადირობა შეუძლებელი შეიქმნება, მაშინ სხვის ჯიბეშიაც ჩააცურებს ორ თითს, ან და უსახელო წერილს მისწერს ვინმეს—ამდენი და ამდენი გამომიგზავნეო,—ან არა და... ერთი სიტყვით, შეიქმნება მსხვერპლი ჩვენი დაუდევრობისა, ჩვენი „ლიბერალიზმისა". და ვაი იმ საზოგადოებას, რომლის სრულ უფლებიანნი წევრნი იქნებიან დღევანდელნი ჩვენი „გმირნი!"

ახლა შეხედეთ ცირკებში—(შეწყნარებით ღვთისათვის ამნაირი პრიტონები სოკოსავით მრავლდებიან!) იგი გაჭედილია მოწაფეობით! და რას განიცდის იქ ფაქიზი გრძნობა ბავშვისა? რას გაიგონებს მისი ყური? მოგახსენებთ: ყოველნაირ ქუჩურ ლანძღვა-გინებას, ქონგლიოზობას, ათასნაირ უკულტურობას, ნახევრად, თუ მთლად არა, შიშველ ქალების „ესთეტიურ" მოძრაობათ და სხ. წარმოიდგინეთ, როგორ აუშლის სადერღელს ამნაირი „ნომრების" დანახვა [illegible] დაქანებულ ბავშვს!

ნუ დაგვიზარებთ! სდიეთ თქვენს შვილებს, მოჰყევით კვალ და კვალ და ნახავთ, რომ... მაგრამ, რომელი ერთი ჩამოვითვალოთ.

ასი ყური გამოვიბათ, ასი თვალი გამოვისხათ, თორემ... ჩვენ მარტო კი არ ვუბედურდებით, — უბედურდება თვით ბავშვი, იღუპება მომავალი საზოგადოება!

კმარა ამდენი ხნის უმოქმედობა ამ ჩვენი ცხოვრების უმაღლეს დღეს! ხომ ვუყურებთ, რომ ჩვენი პაწიები თავისუფლებას თავგასულობისაგან ვერ არჩევენ, ნუ თუ გულხელდაკრეფილნი უნდა შევყურებდეთ, თუ როგორ სცდებიან უფსკრულში ჩვენი შვილები?!...

ხ. ახ—იანი.

აჭარლების ღალატის გამო

სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი.

ჯაყელის გვარის წევრთა ვალი ფაშობის გაუქმების შემდეგ, ახალციხეში ოსმალებმა გაფაშეს სხვა და სხვა ტომის ოსმალთ ფაშები. ეს უცხო ტომის ფაშები ქართველ მაჰმადიანებს ყოველთვის პირში სულს უხუთავდნენ და ტყავს აძრობდნენ, სამუსულმანო საქართველოს ნაწილი, ამ უცხო ტომის ფაშებში თითქმის გაწოხრეს და შეურის. ამ ფაშების ბოროტებამ ქართველი მაჰმადიანები დიდად დააღონეს, ესენი ამის ფიქრსა და წამლის ძებნას მიეცნენ.

ბოლოს დაადგინეს ასეთი განაჩენი: 1748 წ. მიმართეს სტამბოლში, დიდს ვეზირს და დაუწერეს შემდეგი: ჩვენ გურჯები გახლავართ, ანუ ქართველები, ჩვენი ქვეყანა გურჯისტანია, ჩვენი ენაც გურჯული არის, ამიტომ გკითხავთ, რომ ჩვენის ქვეყნის ვალი ფაშით ახალციხეში ჩვენ დაგვენიშნოს ჩვენი მამულის კაცი ფაშათ, რომელსაც ჩვენი ცხოვრების ადათები ეცოდინება. ვაცხადებთ, რომ თუ ეს ასე არ იქნება, ჩვენ მაშინ ჩვენს ქვეყანაში უცხო ტომის ფაშას არ მივიღებთ, არ შემოუშვებთ, არც დავემორჩილებით მის ოსმალეთს. ეს არის ჩვენი სათხოვარი.

დანარჩენი თქვენ ისე გვიგულეთ ჩვენ, როგორც გურჯები და მასთან ნამდვილი და ერთგული მუსულმანები ისლამისა და მორჩილი მონა მსახური ფადიშახისა. ასეთი დავალება ოსმალოს მთავრობამ შეასრულა ქართველ მაჰმადიანთ და მართლაც ახალციხის ვალი ფაშად დანიშნეს აფრიკის გუბერნატორად ნამყოფი ქართველი სულეიმან ფაშა ქებაძე, შთამომავლობით გურჯული. სამწუხაროდ ეს ფაშა დიდხანს არ დასტოვეს ცოცხალი, ამას დასწამეს კავშირი გურიელებთან, დადიანებთან და იმერეთის მეფესთან და თავის ფაშობის მეხუთე წელიწადს თავი მოჰკვეთეს.

ამის შემდეგ ოსმალოს მთავრობამ კვალად დაიწყო თავის ტომის ფაშების გაბატონება ახალციხეში, რომელნიც ძველებურად შეუდგნენ სამსახურის ასრულებას და ქართველ მაჰმადიანებს დაუწყეს ტყავის გაძრობა, პირში სულის ამოხუთვა, მთელი სამუსულმანო საქართველო ამათ გააღარიბეს და გააოხრეს, სოფლის ხალხს ასწავლეს ქრთამების ხარჯვა ყადებისა და „მეჯლისის" შესყიდვა, ამათ წინაშე მართალი ის გახლდათ, ვისაც შეძლება და ფული ჰქონდა, მოაწყეს საქმე ისე რომ ამ ფაშებისაგან ოსმალოს სამართალი ფულით იყიდებოდა, ამ ფაშებმა მთელი სამუსულმანო საქართველო ოსმალოს მთავრობის ციმბირად გადააქციეს.

ოსმალეთში ვინც რამეს დააშავებდა, ყველა იმ დამნაშავეებს სასჯელათ საციმბიროთ აჭარაში გზავნიდენ, ეს მოაწყეს უცხო ტომის ფაშებმა და ამიტომაც ასეთ პირთაგან ქართველ მაჰმადიანებიც სწავლობდნენ იმას, რაც კი ოსმალურმა მოხელე დამნაშავეებმა იცოდნენ, მაგალითებრ კაცის კვლა, გატაცება, გაძარცვა და სხვაც ბევრი ასეთები. ამ თურქების საშუალებით, მთელი სამუსულმანო საქართველო აოხრებას და განადგურებას ეძლეოდა და ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებაც იხრწნებოდა და იგი ველურს სახეს იღებდა.

აი ასეთ დროსაც, სამუსულმანო საქართველო ღმერთმა არ გასწირა და მათ გამოუჩნდა ერთი მფარველი ქართველი მაჰმადიანი გამოჩენილი ბეგი მთელ სამცხე-საათაბაგოში, ეს იყო აბდულ ბეგ ხიმშიაშვილი. ამ ბეგმა ვეღარ დასთმო ოსმალოს ტომის ფაშების უსამართლობა. მან იდვა თავს მათი გაძევება და თვით გამგეობა ისე, ეს როგორც ძველად იყო მის სამშობლო სამცხე-საათაბაგოში—ათაბაგობა, ანუ გურჯისტანის ვალი-ფაშობა.

აბდულ-ბეგი გულით კეთილი კაცი იყო, სამცხე-საათაბაგოს წარსულიც კარგად იცოდა მან, ყველაფრით მომზადებული და მოხერხებული კაცი იყო მხოლოდ ოსმალური სამხედრო სწავლა არ იცოდა და ამიტომ ეს აფერხებდა მის საქმეს, მართვა-მოწყობის საქმეებში ხელი ეცარებოდა. ამ გარემოებას მას მეტად ურთულებდა ის პირობები, რომ იგი ჩოლხარი კაცი იყო და მეტად დიდი რიცხვის პატრონი ძროხა, ხარი, კამეჩის, ცხვრისა და თხისა, რაც მას დიდს დროს სტაცებდა და მიტომ არ ჰქონდა მას საშუალება ქვეყნის მართვა-გამგეობას წინ გაძღოლოდა.

(დასასრული იქნება)

ზ. ჭიჭინაძე.

ქართული კლუბი

პარასკევს, 6 აპრილს

ალ. იმედაშვილი

გამართავს წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება

ოტელლო

ტრ. 5 მ. 7 სურ. ვ. შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. დავითაშვილი, ს. ბეჟანიშვილი. ბბ. ა. იმედაშვილი, პ. კორიშელი, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, გ. ფრონისპირელი, მ. სარაული, ნ. ციციშვილი, ი. თარალაშვილი და სხვა.

2—1573—1 დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

დ ე დ ა

ხუთ მოქმედებიანი პიესა.

(გაგრძელება იხ. „საქართველო" № 71.)

მოქმედება III.

(სცენა. ქედის ბოლოა, ზედ სილაჟვარდიანით დარბაზი და კარმიდამოა. დარბაზის დერეფანი თლილი ქვის სვეტებზეა დაყრდნობილი. სვეტებზე ჯარგვია მოჩუქურთმებული. დარბაზს გვერდები აღარ აქვს, ბანი გადასწორებულია. დერეფნის წინ ლაზიერიდან ჩამოღებული თლილი ქვები ყრია. აქვე დარბაზის დედაბოძები აწყვია. ქედის ბოლოს ფერდობზე სილაჟვარდიანით ბაღია გაშენებული. დერეფანში, დარბაზის კარის ზღურბლზე, როდამი და კაკო ჩამომსხდარან. როდამს სახე მოჰღუშვია, კაკო მოკრძალებით უცქერის).

კაკო. დიდედო!

როდამი. (ყურს არ უგდებს) ამიტყდა და მეც დავყევი... ეს მშვენიერი ქვები განა ძირს უნდა ეყარონ?!

კაკო. დიდედო!

როდამი (მივა ძირს დაყრილ დედაბოძებთან და ხელს დაჰკრავს) არ არის განა კარგი, მედგებო, უსაქმოთ მიწაზე გდება?! გუშინ განა (დერეფნის სვეტებზე იშვერს ხელს) ამათი საქმიანობა? (მწარედ ჩაეცინება) სიცოცხლე, ბევრი ადგილი უჭირავთ!.. (დედაბოძებს) მეც გადავალაგეთ... (ბანს გადახედავს) კრამიტის სახურავს დავადგამთ. სად არის კრამიტის სახურავი? ორიოდე გროში მქონდა მოგროვილი, გამომართვა... კედლები გამოუნგრია და ფანჯრები კი არ ჩაუსვა... ფული აღარ მეყოფა!... თავის ოხრობაზე შემოეხარჯა და აღარ მეყოფა!

კაკო (ვედრებით) დიდედო!

როდამი (კიდევ ყურს არ ათხოვებს) სახლში ქარი თავისუფლად დანავარდობს... წვიმა წვიმს და ბანს ცხვირსავით წყალი გაუდის... ოოოჰ! რა რიგ მეზიზღება, რა რიგ, შინ შესვლა!.

კაკო. (სასოწარკვეთილი) დიდედო!

როდამი. ისევ მე უნდა ვეწვალო... ისევ მე უნდა...

კაკო. (ტირილით) დიდედო, დიდედო!

როდამი. (გამოერკვა და კაკოს ულიმის) რა გატირებს, შვილო? (უყვავებს) სუ, აგრემც განაცვლები დიდედაშენი!

კაკო. (დამშვიდებული) ხმა რომ არ გამეცი შემეშინდა?

როდამი. ტუტუცო! რაზე უნდა შეგშინებოდა? (უნდა კაკოს შიში გაუქარწყლოს) პური მოგშიოდა და იმიტომ ტირი (ცას შეხედავს) არც გასაკვირია, შუადღე გადასულა კიდეც...

წამო, ვისადილოთ... ან არა და მოიცა აქ შენა. გარეთ გამოვიტან ყველაფერს (კაკოს სტოვებს და თვითონ მიდის დარბაზისაკენ. სახეზე ზიზღი ეხატება) რა ღმერთი მიწყრება? თავს რატომ ვერ ვიკავებ? (შედის დარბაზში. ცოტა ხნის უკან გამოდის აღშფოთებული. ხელში ოქროთი მოჭედილი პატარა ლოცვანი უჭირავს. წიგნის ყდას აქა-იქ წვრილი ძვირფასი თვლები აყრია. ყდის ორივე მხარეს, ზედ შუაზე, ორი ვერცხლის ცარიელი ბუდე მოჩანს) ეს ვინა ქნა? ვინ, რომელმა ბოროტმა ხელმა, შემოაცარცვა ეს დედაჩემის სახსოვარი? ვინ ამოგლიჯა, ვინა (ჯერ ყდის ერთ მხარეს დახედავს) კაკლის ოდენა ზურმუხტი. (მეორე მხარეს დახედავს) ლალი?..

კაკო. (მიამიტად) დიდედო, ეგ წინა წელს ძია ბენოს ეჭირა, ქალაქში რომ მიდიოდა.

როდამი. მაშ არც ეს დაინდო?!. ხალხნო, შვილმა დედის სული გაცარცვა! დედას დედის ხსოვნა შეუგინა! (დარბაზის უკან ფეხის ხმა ისმის. როდამი თავს ძალას ატანს და ამშვიდდება) სხვამ რათ გაიგონოს ჩემი დამცირება, შვილისგანით გათახსირება... (წინ წამოწევით ეგებება) მაპატიე, რომ ვერ მოგიარე, ვერ გაგიმასპინძლდი (უბეში ჩაიდებს. დერეფანს მანდილოსანი უახლოვდება) რას მეტყვი ანნა?

ანნა (შუბლ შეკრულს როდამს რომ დაინახავს უკან დაბრუნებას აპირებს). არაფერი, ცოტა საქმე მქონდა, მერე იყოს.

როდამი (ღიმილიერად). მითხარი. (კაკოს) შედი შვილო შინა, კიდობანზე პური და ყველი ძევს, პატარა შეჭამე და მალე მეც მოვალ (კაკო მიდის).

ანნა. ბენო შინ არის?

როდამი (ბენოს მოგონებაზე სახეზე უკმაყოფილება გადურბენს, მაგრამ მალე ისევ იმშვიდებს თავს). ბენოსაგან რა გინდა?.. დღეს დილით ქალაქს წავიდა.

ანნა (გულამოსკვნილი). როდა რა მინდა, შენი ჭირიმე! მთელ ოჯახს ლაფი დაგვასხა. ჩემი პელო მოუტყუებია... გუშინ ნაქცევად არის (როდამს სახეზე მრისხანების ალმური აეკრება) რას გვერჩოდა შენი ჭირიმე?..

როდამი (აწყვეტინებს ანნას ლაპარაკს) როგორ გაბედა, როგორ?! (საყვედურის გამომეტყველებით) ზეციერო განჩენო, რა, რა შეცოდება მიმიძღვის შენ წინაშე?!.

ანნა. (წუწუნით) რა ვქნა ახლა მე ვაგლახმა, რა ვქნა? ვიღა ითხოვს ჩემ ქალსა?.. (ცოტა ხნის შემდეგ გულმოჩვილებული) ჯერ არავინ იცის, გეთაყვა, ეს ამბავი! უთხარი ბენოს, იქნება ჯვარი დაიწეროს.

როდამი (მწარე ღიმილით) ჩემი შვილი ჩემ სიტყვას განა გაიგონებს? ვინ მომცა მე ავეთი ბედი?

ანნა (ტირის) მა რა ვქნა შენ გენაცვალე?.. ან წამალი მაინც მომე რამე, რომ მუცელი ამ თავითვე გაუშვდეს...

როდამი. (აღშფოთებული) რას ამბობ, რასა?! გინდა ცოდვა ჩამადენინო?! გინდა სული უარესად დამიმძიმო? არა მეყოფა ისიც, რასაც ჩემი შვილები სჩადიან! გამეცა, გამეცა! თვალებში ნუ მეჩვენები! გამეცა! (ანნა შეშინებული გადის)... ოოჰ, ზეციერო, რა დაგიშავე, რა? (ქვითინებს).

(ფარდა)

ინ—ბანი.

(დასასრული იქნება)

ქართული კლუბი

ხუთშაბათს, 5 აპრილს, ქართველ მსახიობთა მიერ დამსახურებულ მსახიობის ზ. დადიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ა. ყაზბეგის ცნობილი პიესა

ქეთევან წამებული

ისტ. დრ. 5 მოქ. და 6 სურათად

აფოთეოზით

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე, ბილეთები იყიდება.

2—939—2

კოოპერატივი „ივერია"

—— გაიხსნება აპრილის პირველ ნახევარში. ——

წევრად ჩაწერა შეიძლება „საქართველოს" კანტორაში, თვით კოოპერატივის ბინაზე (თამამშევის ქარვასლა), წერა-კითხვის გამავრცელებელ წიგნის მაღაზიაში, ივ. ავალიშვილთან და თბილისის სასტუმროების პატრონთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობაში (თეატრალური შესახვევი). (5—3)

ქართული თეატრის

აღორძინება

ქართული დრამატიული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლ. 30 წ-დე) გამოცხადდნენ ჩასაწერად სრულიად ახალ დასის შესადგენად. ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დააარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მომზადებული მსახიობებით გამართავს წარმოდგენებს ჯერ თბილისის სახაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიად უფასოდ შეისწავლიან: **დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რიტმს დალკროზის სისტემით, ფარიკაობას, გრიმს, ხმის დაყენებას და ვისაც სასიმღერო ხმა აღმოაჩნდება—სიმღერას.** თუ რომელსამე მომავალ მსახიობს აღმოაჩნდება მუსიკის ნიჭი, შეისწავლის დაკვრას იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ქართული დრამატიული საზოგადოების კანტორაში, რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე № 11. ჩაწერა დაიწყო 21 მარტს და გაგრძელდება მხოლოდ ორი კვირა, ე. ი. 5 აპრილამდე.

კანტორა ღიაა დილის 10 საათიდან 2 საათამდე და ნაშუადღევის 4—6 საათამდე.

თბილისს გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ წერილობით გვაცნობონ ამ მისამართით.

4—931—4 **ქართული დრამატიული საზოგადოება.**

კოოპერატივ „ივერიის"

დროებითი გამგეობა

მოუწოდებს კოოპერატივში ჩაწერის მსურველთ საჩქაროდ ჩაეწერნენ კოოპერატივის წევრებად.

საწევრო ფული—5 მანეთია, საპაიო—50 მანეთი. წევრად ჩაწერა შეიძლება „საქართველოს" რედაქციაში, ჩვენის პარტიის ცენტრალ კომიტეტის ბიუროში (თამამშევის ქარვასლა), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში—ივ. ავალიშვილთან და თბილისის სასტუმროების პატრონების პროფესიონალურ კავშირის გამგეობაში (თეატრალური შესახვევი).

კოოპერატივი დაიწყებს მოქმედებას აპრილის პირველ ნახევარში. —3

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექიმ ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

სამკურნალოში არსებობს კბილის სამკურნალო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კირინკინი" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კირინკინი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვებისთვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიუს" პირდაპირ ტელეფონი 14—28.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელ. № 17—21.

ექიმი

ა. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. **გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად.** იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „მონ-მონდის" პირდაპირ. თ—1018—21

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. **მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. თ—1536—12

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე.

ტელეფონი 14—37

1თ—960—29

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანძისა გაზეთების შესახვევი № 4.